№ 111 მაისი 28, შაბათი 1888 მაისი 28, შაბათი № 111

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო

წიგნი

ხუთი ამბავი,

ან. თუმანიშვილისა.

ფასი სამი შაური.

ისყიდება ტფილისში: ჩარკვიანის მაღაზიაში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში ქუთაისში — ჭილაძეების მაღაზიაში, გორში — ცხვედაძის მაღაზიაში და სხვა ქალაქებში-კი კერძო კაცებთან. იქვე ისყიდება „მოლაღური“. (10—1)

რადგან 20 მაისისათვის დანიშნულს წლიურ საერთო კრებაზე «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა» კანონიერი რიცხვი წევრთა არ მოვიდა და ამის გამო კრება ვერ შესდგა, ამიტომ, თანხმად საზოგადოების წესდების მე-15 §-ისა, ხელმეორედ არის დანიშნული წლიური საერთო კრება წევრთა აღნიშნულის საზოგადოებისა კვირას, 29 მაისისათვის, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1887 წელს;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაზე 1888 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა;

დ) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრებისა;

ე) მოხსენება გამგეობისა, რომ ანგარიშისათვის მიღებულ იქმნას სამოსწავლო წელიწადი სექტემბრიდგან სექტემბრამდე და საზოგადო კრება მოხდეს ხოლმე ოქტომბრის განმავლობაში. (5—4)

წევრნი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისანი მოწვეულ არიან წლიურ საზოგადო კრებაზე, რომელიც იქნება კვირას, 29 მაისს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ნაშუადღევის საათზედ.

საგანნი განსახილველნი:

1) ანგარიში საზოგადოების 1887 წ. მოქმედებისა;

2) ანგარიში ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის მოქმედებისა 1887 წელს;

3) მოხსენება ხ. ა. გერმიშოვისა: „გლეხთა ოჯახობის თაობაზედ ამიერ-კავკასიაში“;

4) მოხსენება კ. დ. ინანაშვილისა მოკრება და გაწურვა ყურძნისა 1887 წ. სან-მიხელის სამეურნეო სკოლაში სამხრეთ ტიროლში;

5) არჩევანი საზოგადოების საბჭოს ერთის წევრისა.

კრებაზედ ნება აქვსთ დაესწრნენ არა-წევრთაცა.

ტფილისი, 27 მაისი

გუშინდელმა დეპეშამ პარიჟიდგან ფრიად საგულისხმო ამბავი მოგვიტანა: საფრანგეთის პალატამ მოისმინა ბულანჟეს წინადადება კონსტიტუციის გადასინჯვისა და პარლამენტის დათხოვნის შესახებ და 377 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 186-ისა დაადგინა, რომ ამ წინადადების დაუყოვნებლივ განხილვა საჭირო არ არისო, ასე და ამ გვარად ბულანჟეს მეცადინეობა და იმათი განზრახვაც, ვისაც უნდოდათ ბულანჟეს სახელი და მოქმედება თავ-თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ, უქმი გამოდგა და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ საფრანგეთში რესპუბლიკა ისე ადვილად შესარყეველი და გასაუქმებელი არა ყოფილა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ამ გზობითაც რესპუბლიკამ უხიფათოდ განვლო ის ბეწვის ხიდი, რომელიც მოპირდაპირეებმა წინ დაახვედრეს, და კიდევ ერთხელ გაიმარჯვა, სადაც ზოგნი დამარცხებას ელოდებოდნენ. ამ გზობითაც, საერთო საჭიროებისა და ინტერესის მიხედვით, რესპუბლიკელთა ყველა დასებმა ერთად თავი მოიყარეს და საქვეყნოდ აღიარეს, რომ რესპუბლიკის მკვიდრად დამყარება და განმტკიცება უმთავრესი საგანია ყველა რესპუბლიკელთათვის და რომ ყოველივე უთანხმოება და აზრთა სხვა-და-სხვაობა უნდა დადუმდეს მაშინ, როცა რესპუბლიკას ძირს უთხრიანო.

ნუ თუ მართლა რესპუბლიკის მდგომარეობა დღეს ისე სამში იყო, რომ კონსტიტუციის გადასინჯვა და შესწორება რაიმე ხიფათს უქადიდა რესპუბლიკას? განა საფრანგეთის კონსტიტუცია იმდენად სრული და უნაკლულოა, რომ გადასინჯვა და შესწორება არ ეჭირვება? არც ერთი სინიდისიერი რესპუბლიკელი, არც ერთი მომხრე რესპუბლიკურის წეს-წყობილებისა არ იტყვის, ვითომ საფრანგეთის კონსტიტუცია სრული რამ ქმნილება იყოს, რომელსაც კაცი წუნს ვერ დასდებს; პირ-იქით, ყველა რესპუბლიკელები იმ აზრისანი არიან, რომ საფრანგეთის კონსტიტუციას ბევრი რამ აკლია, ბევრი რამ ესაჭიროება. მართლადაც ვისა აქვს ნება და საბუთი იფიქროს, რომ თექვსმეტიოდე წლის განმავლობაში რესპუბლიკა სრულზე უსრულესი შეიქმნებოდა და მიუკარებელ ხელ-შეუხებელ ქმნილებად გადაიქცეოდა? თვით პირუთნეველნი რესპუბლიკელნი მუდმივ იმასა სცდილობენ, რომ რაც შეიძლება შეავსონ და შეასწორონ კონსტიტუცია და ამ ნაირად განამტკიცონ რესპუბლიკური წეს-წყობილება. მაშ რა იყო იმის მიზეზი, რომ პალატამ ხმის უმეტესობით უარჰყო ბულანჟეს წინადადება? მხოლოდ ისა, რომ კონსტიტუციის გადასინჯვით საფრანგეთში ფეხი მაგრად უნდა მოეკიდებინათ და, თუ შესაძლო იქმნებოდა, განსაცდელი მიეყენებინათ რესპუბლიკისათვის ამ უკანასკნელის მოპირდაპირეებს და მოსისხლე მტრებსა. რესპუბლიკელებმა კარგად იციან, რომ მტერი და მოპირდაპირე უტყუარს განაჩენს ვერ დასდებს და იმდენად კონსტიტუციის ავ-კარგიანობაზე არა ზრუნავს, რამდენადაც საკუთარს საჭიროებაზე, რომელიც რესპუბლიკისას არ ეთანხმება. პალატამ, როცა ბულანჟემ თავისი წინადადება წარუდგინა, კარგად იცოდა, რომ ბულანჟეს მომხრეთა უმეტესი ნაწილი რესპუბლიკელი არ იყო და ისიც კარგად მეტყობილი ჰქონდა, თუ ვინ აპირობს ბულანჟეს სახელის გამოყენებას. აი, ის მიზეზი, რომელიც პალატას მხედველობაში ჰქონდა, როცა ბულანჟეს წინადადება უარჰყო.

ზემოდ ვსთქვით, რომ არც ერთი გონიერი რესპუბლიკელი არ არის და არც უნდა იყოს კონსტიტუციის გადასინჯვის მოწინააღმდეგე, რადგანაც ყველანი კარგად ჰგრძნობენ, რომ კონსტიტუციას შესწორება ეჭირება. ამიტომაც პალატამ მხოლოდ ის დაადგინა, რომ კონსტიტუციის დაუყოვნებლივ გადასინჯვა საჭირო არ არის, ესე იგი, როცა დრო მოვა და აყალმაყალი დასცხრება, მაშინ უფრო გულ-დასმით და სამართლიანად განვიხილოთ კონსტიტუციაო. შეუძლებელია ვინმემ სთქვას, ვითომ პალატა რიგისამებრ არ მოქცეულიყოს, რადგანაც ის აყალმაყალი და უთანხმოება, რომელიც დღემდის ჰსუფევს საფრანგეთში, ხელს შეუშლიდა პირუთნეველსა და სამართლიანს სჯასა.

მას აქეთ, რაც რესპუბლიკური წეს-წყობილება დაარსდა საფრანგეთში, რესპუბლიკა იძულებული იყო მუდმივ ფხიზლად ყოფილიყო, რომ ახლად დადგენილის, ნორჩის წეს-წყობილებისათვის არავის ძირი არ გამოეთხარა და იმისი ციხე-სიმაგრე არ შეერყვია. ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკა ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ბრძოლიდგან და ეს ხომ იმის საბუთია, რომ რესპუბლიკა დღითი-დღე უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამისდა მიუხედავად რას არა სწამებდნენ და დღესაც სწამებენ რესპუბლიკას? უნიჭობას, მოუხერხებლობას და ზოგჯერ უსინიდისობასაც-კი აბრალებდნენ და მწამებელნი იმას-კი ივიწყებდნენ, რომ დიდ-ძალი ღონე და საშუალება რესპუბლიკამ მოანდომა ბრძოლას სხვა-და-სხვა დაბრკოლებასთან. განა ის დიდი სამსახური არ არის, რომ რესპუბ-

## ფელეტონი

### ფიქრი და შენიშვნა გარეთ-ყოფილისა.

II

წარსულს წერილში მე მოვახსენე ჩემს მკითხველს, რომ ბ-ნის მაიაშვილის წერილი არ წარმოგვიდგენს არაფერს ახალს და შესანიშნავს, მაგრამ დიდად პატივ-საცემი იმიტომ არის ეს წერილი, რომ, ეტყობა, იმისი ავტორი თავ-დადებულია მდაბიო ხალხის კეთილდღეობისათვის-მეთქი. იქნება, მკითხველო, მე და შენ სულ სხვა აზრისა ვიყვნეთ იმ ღონის-ძიებაზედ, რომელიც მრავალ-ტანჯულს მდაბიო ხალხს ბედის კარს გაუღებს, ვიდრე ზემოხსენებული ავტორი; იქნება მე და შენ სხვა-და-სხვა კეთილ-გარემოების გამო უფრო სწორე, მოკლე და ყოვლად საუკეთესო გზა გვიპოვნია იმავე ბედის კარის მისაღწევად და გასაღებად, მაგრამ, ვინ იცის, იქნება ეს მოკლე გზა იმავე ბატონის მაიაშვილის და იმის მოაზრეთა ზრუნვით, ცდილობით და თავ-განწირულის სულის კვეთებით შეგვიმოკლებია. მაინც ასეა ყოველთვის და ყველგან, რომ ვიდრე კაცი ნამდვილსა და სწორე გზას დაადგება, მრავალმა სხვამ იმას წინად ბევრი ჯაფა და შრომა უნდა გასწიოს; ბევრჯელ გულ-მხურვალედ მზრუნველს კაცს თავისი ღრმა ფიქრი და აზრი შორს გაიტაცებს და უნებლიედ ერთს საშინელს და უდაბურს ტყეს მოსდებს, მაგრამ თუ იმას წინ პატიოსანი, ნათელი და ანკარა წყალსავით წმინდა აზრი უძღვის, თუ თავისს ძნელს სვალში ჯანმა და ღონემ არ უმტყუნა, ან ბოროტმა მტრის ხელმა უდროოთ სამარე არ გაუთხარა, ფიქრი არ არის: ბოლოს და ბოლოს გზას გაიგნებს და გავა შარა გზაზედ კეთილის აზრისა და საქმის უხვად მოსაფენად; თუ არა, თუ იმას ბედის ბორბალი უკუღმა დაუტრიალდა, არც ეს იქნება უნაყოფო და საწყენური: ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!.. არ ჩაივლის, რადგანაც შეიძლება აზრი და სახსარი დროთა ვითარებამ შესცვალოს, მაგრამ წმინდა საგანი საშვილიშვილოდ საგნად დარჩება. დიაღ, სწორედ ამით არის საყურადღებო და პატივ-საცემი ზემოხსენებული წერილი, რომ შიგ ნათელი აზრი მოიპოვება; ჩვენ შეგვიძლიან ჩვენს ნებაზედ იმისი აზრი და საშუალება, სახსარი შევცვალოთ, მაგრამ საგანი-კი იმავე საგნად დარჩება.

ის აზრი, რომელსაც ბ-ნი მაიაშვილი მთელს თავისს წერილში თავს დასტრიალებს და მაგალითებით სხვა-და-სხვა ერის ცხოვრებიდამ ამ აზრის ჭეშმარიტებას გვიმტკიცებს, ეს აზრი, ჩემო მკითხველო, ეკუთვნის წარჩინებულს საქვეყნო მეცნიერს, რომელმაც თავისი დიდად შესანიშნავი სამეცნიერო თხზულება, ვით ერთი კარგი ზორბა ყუმბარა, მარჯვედ ესროლა მთელის ქვეყნის მოქალაქობის გაქვავებულს გულს და, თუმცა ნათლად დაგვანახვა ის საზარელი და სამწუხარო მდგომარეობა, რომელსაც წარმოგვიდგენს ევროპის მდაბიო ხალხის ცხოვრება, მაგრამ სანუგეშოდ ისიც დაგვიმტკიცა, რომ თვით კაპიტალისტურის წარმოებით მოქალაქობას საფლავი ეთხრება და ადრე თუ მალე გლოვის ზარიც უეჭველად დაერეკება.

ამ შესანიშნავ სამეცნიერო შრომის აზრი ის გახლავთ, რომ ყოველის ერის უფლებას, იმის პოლიტიკურ, სასულიერო და საზნეობო წესს და დაწყობილებას საფუძველად და დასაბამად აქვს ქონებრივი ცხოვრების წესი და წარმოება; ასე რომ რა გვარის ქონებრივის ცხოვრებისაც არის ერი, იმავე ქონებრივის წესის და წყობილების შესაფერი უფლება, პოლიტიკური, სასულიერო და საზნეობო მხარე ცხოვრებისა ექნება; თუ რაისამე მიზეზით დაირღვა ძველის ქონებრივის ცხოვრების წესი და წარმოება, აგრეთვე დაირღვევა და მოიშლება ძველი წესი უფლებისა, ძველი პოლიტიკური, სასულიერო და საზნეობო მხარე ცხოვრებისა და იმათ ნაცვლად დაიბადება ახალი წესი, შესაფერი ახალისავე ქონებრივის ცხოვრების წესისა.

დიდად საჭიროა დაინახოს კაცმა ნათლად, როგორ მიაგნო ამ მეცნიერმა თავისს ნათელს აზრს და, რადგანაც ბ-ნი მაიაშვილი ამაზედ ჩვენ არას მოგვითხრობს, ჩვენთვის აუცილებელია ჩავუფიქრდეთ ამ ღრმა აზრს და მოკლედ მაინც ავხსნათ. რასაკვირველია, ჩვენ ჩვენის მხრით მთლად ვეთანხმებით ამ ფილოსოფიურს აზრს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ იმას არა აქვს ჩვენს ცხოვრებაში ის პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელსაც ბ-ნი მაიაშვილი მიაწერს და რომლისაგანაც ის დასკვნა გამოჰყავს, რომ თუ ჩვენ მართლა ჩვენის ქვეყნის ერის გულითადი მზრუნველნი ვართ, უნდა უეჭველად უპირატესი ყურადღება იმის ეკონომიურის ცხოვრების გამოკვლევასა და განკარგებას მივაქციოთო.

წარჩინებულ მეცნიერთა შემწეობით ყველამ ვიცით, რომ ძველთა უძველესს დროს ადამიანი თავისის სმაჭამით, ყოფა-ცხოვრებით, თვით ჭკუა-გონებით და ზნეობით ტყის ნადირს ემგზავსებოდა. იმ უბედურსა და ამასთან ღვთისაგან დალოცვილს დროს ყოველი ადამიანი მხოლოდ თავისის სტომაქის ყმა იყო, ადამიანთა შორის არ არსებობდა იმ გვარი ურთიერთობის კავშირი, რომელსაც ჩვენ ეხლა ვხედავთ ყოველ ჩვენ დროის ერსა და საზოგადოებაში, და თუ იყო, ეს კავშირი მგელთა შორის ურთიერთობის კავშირს ემგზავსებოდა; თვით საგანი ადამიანის სიცოცხლეში მგლუ-

[illegible] იმან გადალახა იმდენი დაბრკოლება და მოწინააღმდეგე და სრულიად დაცემული ერი და სახელმწიფო ფეხზე წამოაყენა? მარტო ის გაიხსენეთ, ამ ერთის წლის განმავლობაში რამდენი განსაცდელი გამოუვლია საფრანგეთს. მოიგონეთ თუნდაც კაფარელის საქმე, შემდეგ ვილსონისა, საპრეზიდენტო კრიზისი და გრევის გადაყენება სამსახურიდგან და კიდევ მესამედ ეგრედ წოდებული ბულანჟიზმი; გაიხსენეთ რამდენი ლაპარაკი და შფოთი გამოიწვია თვითოეულმა ამ საქმეთაგანმა, რას არ გაიძახოდნენ მაშინ? ზოგი იმასა სჩიოდა, რომ საფრანგეთის მხედრობა გარყვნილი და დახრწნილი არისო, ზოგი იმასა, რომ გარყვნილება და უსინიდისობა შიგ რესპუბლიკურს მმართებლობაში ჰბუდობსო, და სხვანი, მაგრამ ის-კი არ ახსოვდათ, რომ უფროსი ერთ სენი რესპუბლიკისა ძველთა დროთა და წინანდელის წეს-წყობილების ნაანდერძევი იყო და არის. იმასაც ყურადღება არ ათხოვეს, რომ თვით რესპუბლიკა შეებრძოლა სხვა-და-სხვა სენს და რომელსაც-კი ხელი წაავლო, არ შეიწყალა. განა ყოველივე ეს რესპუბლიკის სიცხოვლის ნიშანი და საბუთი არ არის?

ზოგნი იმასაც გაიძახიან, რომ რესპუბლიკას ბევრი არა გაუკეთებია-რა ერის საკეთილდღეოდაო. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ცილის წამებაა, საჭირო არ არის რესპუბლიკის ყველა მოქმედებათა ჩამოთვლა. საკმარისია თუნდაც ის მოვიხსენოთ, რომ რესპუბლიკამ შექმნა ისეთი ძლიერი მხედრობა, რომლისაც თვით შეუპოვარს ბისმარკსაც ეშინიან, და ფეხზე დააყენა საერო განათლების საქმე, რომელიც საფრანგეთში, რესპუბლიკის შემოღებამდე, თითქმის სრულიად მივიწყებული იყო.

ერთის სიტყვით, როცა საფრანგეთის რესპუბლიკის ავ-კარგიანობაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ არც რესპუბლიკის სიახლე, არც ის დაბრკოლება, რომელიც იმან გადალახა, და არც ის საქმენი, რომელიც იმან მოიმოქმედა.

ა. ს—ი

# ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს ქორდანიას, ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს, შეუდგენია ვრცელი ქართული გრამატიკა. ეტიმოლოგია უკვე გადაუცია ავტორს დასაბეჭდად და საშემოდგომოდ მზად იქნება.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ მმართველობა გვთხოვს მადლობა გამოვუცხადოთ იმის სახელითა ყველა იმათ, ვინც არ დაიშურა და სხვა-და-სხვა შემოწირულებანი მიაწოდა საზოგადოებას ლატარიისათვის. საზოგადოება მადლობას უცხადებს შემდეგს ტფილისის მოვაჭრეთა და მაღაზიის პატრონთაც: კოვარს, მირიმანოვს, ერვიეს, შადინოვს, კაცს, ფრაქეს, სეგალს, გულასპოვს, ტ.-ნიკოლოსოვს, დონდერსა და ლეიტცს, რომელნიც ქარარდის ქარხნის საქონელსა ჰყიდიან, ძმათა ალშვანგებს, ზიბერტს, თამამშოვს და შემდეგ ღვინის სარდაფის პატრონთ: „ალაზანი“ „სარდაფი კახეთის მემამულეთა“, „მელაანი“ სარდაფი ჯორჯაძისა. მადლობას უცხადებს აგრეთვე ბ-ნს ბერიშვილს.

*** ჩვენ გვწერენ ქართლიდამ, რომ 25 მაისს დიდი ავდარი იყო ცხეთიდამ გორამდე და ალაგ-ალაგ ამ დღეს სეტყვამაც გადიარაო. სეტყვამ დიდად აზარალა სოფელი ხიდისთავი, რომელშიაც საუკეთესო ღვინო მოდის. ნიაღვარმა ისე აადიდა მდინარე ტანა, რომ ეს წყალი რკინის ხიდზე ზედ-გადადიოდა. ამის გამო საღამოს მატარებელი, ტფილისიდამ წასული გორისკენ, გრაკალში გაჩერდა. მხოლოდ გათენებისას ჩამოვიდა გორიდამ მატარებელი და წაიყვანა გრაკალში დამწყვდეული ხალხი ხაშურისაკენ [illegible] მაისს.

*** სოფელ სალოლაშნიდამ გვწერენ, რომ 1 მაისს გამართულის წარმოდგენიდამ შემოვიდა სულ 36 მან., რომელიც უკვე გარდაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებასაო“. წარმოადგინეს იმ საღამოს ვოდევილი ბ-ნის ავ. ცაგარლისა „ბაიყუში“ და დასდგეს ცხოველი სურათები. წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა: კნ. ს. წერეთლისამ, ეკ. წერეთლისამ, ზაალ მაჩაბელმა, ლევან ციციშვილმა და აბელ და კოტე კალატოზიშვილებმა. წარმოდგენაცა და ცხოველი სურათებიც გამართულ იქმნა თ. სარდიონ ამირეჯიბის თაოსნობით იმის საკუთარს სახლში. წარმოდგენაზედ საკმაოდ დაესწრო ხალხი გარშემო ახლო-მახლო სოფლებიდგან. იყვნენ აგრეთვე გლეხ-კაცებიცა. საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა წარმოდგენითა.

*** ჩვენ გვთხოვენ გავასწოროთ შეცდომა, რომელიც «ივერიის» მე-109 №-ში მოგვსვლია, სურამიდგან მოსულს ახალს ამბავში. ამ ამბავში მოხსენებულია, ვითომ შარშან ჭერათხევის მახლობლად „ავაზაკებმა ორი ატოცელი ქალი მოჰკლესო“. ეს ქალები ატოცელნი კი არა ყოფილან, არამედ იმერეთიდგან მინავალან ატოცში.

*** გაზეთ „Новое Обозрѣніе“-ს აცნობებენ, რომ გორის მაზრის სოფ. ხიდის-თავს ისეთი ძლიერი და მსხვილი სეტყვა მოსულა, რომ სულ ერთიანად გაუფუჭებია იქაური ვენახებიო.

*** გაზეთი „Кавказъ“-ი გვაცნობებს, რომ მთავარ-მმართებელმა თავ დონდუკოვ-კორსაკოვმა იმ კომისიის თავ-მჯდომარეთ, რომელმაც ბათუმში უნდა შემოიღოს ახალი საქალაქო დებულება, დანიშნა „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“ ბ-ნი გავრონსკიო. გავრონსკიმ, თუ ვინიცობაა კომისიას დაუსრულებია, რაც დავალებული ჰქონდა, უნდა მოახდინოს კრება ხმოსნების ასარჩევად. გავრონსკიმ დრომდე უნდა იკისროს ქალაქის თავის თანამდებობა.

*** იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ტფილისის სასწავლებლებში ზაფხულის შემდეგ სწავლა დაიწყება 24 ან 25 აგვისტოს და არა პირველს ენკენისთვეს, როგორც აქამომდე იყო.

## მორიგი კრება

### ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.

პარასკევს დღეს, 20 მაისს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა დილის 10 საათზედ შეიყარა კლუბის დარბაზში მორიგის კრებისათვის. გუბერნატორის მაგიერ მობრძანდა ვიცე-გუბერნატორი და გამოაცხადა, რომ კრებას შეუძლიან თავის მორიგის საქმეების განხილვას შეუდგესო. რადგანაც კანონია, რომ თავად-აზნაურთ ჯერ ფიცი უნდა მიიღონ და მერე შეუდგნენ საქმეს, ამიტომაც მთელი თავად-აზნაურობა ვიცე-გუბერნატორის და გუბერნიის მარშლის წინამძღოლობით ქვეითად წავიდნენ წყობით სიონის სობოროში.

სობოროში მწირველი ბრძანდებოდა ეგზარხოსი საქართველოსი და როცა პარაკლისზედ დადგნენ, მაშინ მოწვეულნი იყვნენ ორნი ეპისკოპოსნი, არხიმანდრიტები და სხვა კრებული სამღვდელოებისა. პარაკლისის გათავების შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა წარმოსთქვა მეტად საყურადღებო სიტყვა, აუხსნა თავად-აზნაურობას იმისი მოვალეობა კრების საქმეთა კეთილად წარმართვისათვის, აკურთხა და დალოცა და მაცხოვარის ხატი გადასცა გუბერნიის მარშალს—ნიშნად თავის ლოცვა-კურთხევისა თავად-აზნაურთა ბედნიერებისათვის. გუბერნიის მარშალმა შესაფერი პასუხი უგო მღვდელ-მთავარსა. პარაკლისის დროს „ქრისტე აღსდგა“ და „მრავალ-ჟამიერ“ ქართულად იგალობეს მგალობელთა და მშვენივრადაც იგალობეს, ნამეტნავად „ქრისტე აღსდგა“. პარაკლისის გათავების შემდეგ ხმა მაღლა წაიკითხეს და თავად აზნაურთ განიმეორეს ფიცის ქაღალდი და მას შემდეგ თითო-თითო მივიდნენ და დასაფიცებლად ემთხვივნენ ჯვარსა და სახარებას. აქავე მისი ყოვლად უსამღვდელოესობა თითოეულს დაფიცებულს თავად-აზნაურს ურიგებდა სეფისკვერსა.

იმავე რიგით და იმავე წყობით დაბრუნდა თავად-აზნაურობა კლუბის დარბაზში და აქ გუბერნიის მარშალმა გამოაცხადა: რადგანაც გვიან არის, დღეს საქმეს ვეღარ შევუდგებითო და მოიწვია თავად-აზნაურნი მეორეს დღეს, 21 მაისს, დილის 9 საათზე.

21 მაისს ხელ მეორედ წაკითხულ იქმნა სია თავად-აზნაურთა, რომელთაც კანონი ნებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ როგორც კრების საქმეების განხილვასა და დამტკიცებაში, აგრეთვე არჩევნებში. წაკითხვის შემდეგ გუბერნიის მარშალმა ჰკითხა კრებას, რომ არავის არა ეთქმის-რა ამ სიის კანონიერებაზედ და ითხოვა იმისი დამტკიცება: სიის გამო არავინ არა სთქვა-რა და კრებამ იგი სია კანონიერად სცნო.

შემდეგ კრება შეუდგა მორიგის საქმეების გარჩევას. გუბერნიის მარშალმა უბრძანა სეკრეტარს წაეკითხა მოხსენება მასზედ თუ,—რა ბოლო მოჰყვა გუბერნიის მარშლის შუამდგომლობას იმ საგნების გამო, რომელიც წინა-კრებათაგან დავალებული ჰქონდა გუბერნიის მარშალს. თითქმის ყველა იმ შუამდგომლობაზედ მთავრობისაგან უარი მიეღო. კახეთში რკინის გზის გაყვანის გამო მთავრობას არ შეეწყნარებინა შუამდგომლობა იმ მიზეზით, რომ საზოგადოდ გზების გაყვანის საქმე განსაკუთრებული საქმე არ არის თავად-აზნაურობისა და კანონით-კი თავად აზნაურობამ მარტო თავის საკუთარს საქმეზედ უნდა იშუამდგომლოსო. კრებამ დაადგინა, მოხსენდეს მთავრობას, რომ რკინის გზის გაყვანა კახეთში დიდს საჭიროებას შეადგენს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისათვისაც და ამიტომაც სთხოვეს გუბერნიის მარშალს, ხელ-ახლად შუამდგომლობა გაუწიოს [illegible] ბერნიის თავად-აზნაურთა [illegible]

არც ის შუამდგომლობა [illegible] ბია მთავრობას, რომ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებას მიენიჭოს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს იგი თავადი ანუ აზნაური, რომელიც მოინდომებს ჩაეწეროს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შორის. შეუწყნარებლობის საბუთად მთავრობას ის უჩვენებია, რომ ამ საგანზედ თავისი საკუთარი კანონები უკვე არსებობს და ახალის კანონების დადგენა ან საზოგადო კანონებისაგან გამოკლება შეუძლებელიაო.

მერე გუბერნიის მარშალმა აუხსნა კრებას, რომ მე წინა კრებამ დამავალა, სხვათა შორის, ერთს საგანზედაც შუამდგომლობა გამეწია მთავრობის წინაშეო. ეგ საგანი სკოლის ფულის გაწერაა თავად-აზნაურობაზე. ეს ფულის გაწერა ერთ-ხმად გადაწყვეტილი იყო წინა კრებისაგან და მინდობილი ჰქონდა მაზ-

---

რიგე იყო: მხოლოდ ჭამა-სმასა და თავის ჯიშის გამრავლებაში ილეოდა იმისი სიცოცხლე, ასე რომ მაშინდელ ადამიანის ჯაფა-შრომას შეადგენდა მხოლოდ მგლურად დღიურ ლუკმის შოვნა. მაშინდელი ადამიანი, სიცხესიცივის შიშვლად ამტანი, სტომაქის გასაძღომ ყოველ გვარ საზრდოს მომნელებელი, არა ზრუნავდა არც თავის შესაფარ შენობაზედ, არც ტან-საცმელზედ და არც ხვნასა და თესვაზედ. ერთის სიტყვით, თითქოს თვითონ ბუნება ჰზრუნავდა მაშინდელ ადამიანისათვის და თუ რაისამე მიზეზით გარეშემო სულიერი და უსულო ბუნება არ აძლევდა დღიურს საზრდოს, იგი შიმშილით კვდებოდა. გარდა ამისა, მისი სიცოცხლე დამოკიდებული იყო გარეშემო მცხოვრებ ადამიანებზედ, რომლებსაც ზოგჯერ ებრძოდა დღიურ ლუკმის შოვნისა და ტაციაობისათვის, მაშინ-როდესაც ბუნება ყველას საზრდოთი ვერ უძღვებოდა. აი სწორედ ამ ბუნების ნაყოფის ნაკლმა და ზოგჯერ შიმშილით სიკვდილმა შეაჩვია ადამიანი სახვალიოდ, საგაისოდ და საშვილიშვილოდ ზრუნვას და მხოლოდ აქედგან იწყება ნამდვილი ადამიანური შრომა. აქნობამდე ბუნებისაგან სიცოცხლე დამოკიდებული, ეხლა-კი თავისის [illegible]უნვით და შრომით ადამიანი სცდილობს ცოტათი მაინც დაიხსნას იმისგან დაბადებითვე დამონავებული თავი.

მაგრამ მარტო ხელის ადამიანისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო სულიერი და უსულო ბუნება დაეპყრა და ყოველი თავისი ქონებრივი ნაკლულევანება დაეფარა; ამისთვის კაცი კაცს შეეფარა, ხელი ხელს და მხარი მხარს ერთი-ერთმანეთს მისცეს და ბუნებას უფრო რიგიანად და უფრო ბლომად გამორჩნენ. იქ, სადაც ტყის ნადირის დაჭერას ორი და სამი კაცი უეჭველად მოუნდებოდა, ერთი, რასაკვირველია, ვერას გააწყობდა; აგრეთვე იყო შენობასა, ხვნასა, თესვასა და სხვა-და-სხვაში. ამისა და სხვა ამ გვარის გაჭირების გამო დაიბადა ოჯახი, გვარი, თემი, ერი და მათ არსებობას ჰქონდა საგნად ადამიანთა შორის ურთიერთი წარმატება. არავისთვის საეჭვო არ არის, რომ შეერთებულ ადამიანთა გარჯას და შრომას შეუძლიან გააჩინოს და ააყვავოს სხვა-და-სხვა სასარგებლო მცენარე თვით იმისთანა ხრიაკ ალაგზედ, სადაც ბუნება უბრალო ბალახ-ბულახსაც-კი არ იძლევა.

თუმცა მხეცს და უგუნურს ადამიანს უგრძნობელმა ბუნებამ გაჭირება დააყენა, მაგრამ გაჭირებაში გაქცევაც აჩვენა: ადამიანი შეეფარა თავის მეთვის-ტომეს. მართალია, ამ გვარად ადამიანი ვაის გაეყარა, მაგრამ ბუნების ვაის მაგიერად მეთვის-ტომეს ვუის შეეყარა: უწინ ადამიანთა შორის თავისუფალი ადამიანი და მხოლოდ ბუნების მონა, ეხლა ადამიანის მონად გარდაიქცა. რაც ამ დიდ-ძალ ისტორიულ ხანაში ადამიანის ჭკუა-გონებამ, იმისმა უფლებამ, საპოლიტიკო და საზნეობო მხარემ შეიმატა თუ დაიკლო, ეს, რასაკვირველია, მოხდა სულ იმ ბუნებასთან ჭიდილში, რომელსაც საგნადა ჰქონდა რიგიანის შრომის სარგებლობა, ესე იგი ქონებრივის წარმოების წარმატება.

ამ გვარად ჩვენ მივაღწიეთ იმ საფუძველს, რომელზედაც ზემოხსენებულმა მეცნიერმა დაამყარა ის თავისი ფილოსოფიური აზრი, რომ ყოველ ერის უფლებას, იმის საპოლიტიკო, სასულიერო და საზნეობო წესს და დაწყობილებას საფუძვლად და დასაბამად აქვს ქონებრივის ცხოვრების წესი და წარმოებაო. ეხლა ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ეს აზრი არის მხოლოდ შედეგი ფილოსოფიურის განხილვისა ადამიანის შრომის ისტორიისა. მხოლოდ ესევე განხილვა გვიჩვენებს ჩვენ, რომ რაც აუცილებელი იყო იმ ადამიანისათვის, რომელიც ბუნების მონას წარმოგვიდგენს, არ შეეხება ჩვენ დროის ადამიანს, რომელიც ისე ძლიერ აღარ არის ბუნების მეტ-ნაკლებობაზედ დამოკიდებული. უძველესი ადამიანი ბუნების მონობას გაურბოდა და ადამიანთა შორის მონობას-კი, როგორც შეეძლო, ითმენდა; ჩვენის დროის ადამიანი-კა ვეღარ იტანს ადამიანთა შორის მონაობას და ამისათვის ბევრჯელ სტოვებს თავისს ქონებრივს სიმდიდრეს და უშიშრად მიდის უდაბურს ტყეში, სადაც, ადამიანთაგან თავისუფალი, ბუნებას გამარჯვებით ებრძვის. დღევანდელ ჭკუა-გონება გახსნილს, ნასწავლს და ბუნებასთან ბრძოლაში გამოცდილს ადამიანს ბუნების კარი ღია აქვს და იმას თითქმის ისე იმსახურებს, როგორცა ჰსურს, და ქონებრივი მხარე თავისის ცხოვრებისა შეუძლიან ააყვავოს იმდენად, რაოდენადაც უჭირს და ჰსურს, იმის სურვილს რომ ადამიანთა შორის მონობა არ უშლიდეს. პირველი ნაბიჯი კაცობრიობის ისტორიულ ცხოვრებისა იყო იმისი თავის დახსნა ბუნების მონობისაგან. აქ არის თავისუფლების ბედისა და აგრეთვე უბედობისა, მხოლოდ ბოლო უძევს იქ, სადაც მოისპობა ადამიანთა შორის და ერთა შორის მონობა. ეს მეორე და უკანასკნელი ისტორიული ნაბიჯი გაუღებს ადამიანს, ერს და მთელს კაცობრიობას თავისს ბედის კარს, იმიტომ-რომ სწავლა-განათლების ძალით და ისტორიულის გამოცდილებით ყოველი საზოგადოება, ერი და თვით უმეტესი ნაწილი მთელის კაცობრიობისა დღეს იმდენად დახელოვნებულია თავის ქონებრივ წარმოების წარმატებაში, რომ იმის ბედს თავის დღეში ძალიც არ დაჰკლებს, ოღონდ-კი ზემოხსენებული მონობა მოისპოს; დახელოვნებულ კაცის ქონებრივი ბედნიერება თავის ხელშია, ოღონდ ხელებ-შეკრული არ იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მარშლებს, რომ თვითოეულს მათგანს ცალკე კრება მოესდინა, თვითოეულ თავად-აზნაურთათვის სახელდობრ გაეწერა შეძლებისამებრ სასკოლო ფული და როცა გაწერილის ფულის სიებს წარმოუდგენდნენ გუბერნიის მარშალს, მაშინ გუბერნიის მარშალს უნდა წარედგინა დასამტკიცებლად მთავრობისათვის. ხოლო მე ვერ წარვადგინე ეს განაჩენი სასკოლო ფულის გაწერის თაობაზე იმიტომ, რომ როცა მე სიღნაღისა და თელავის თავად-აზნაურობა ვინახულე და იმათი გაჭირვებული ცხოვრება ჩემის თვალით ვნახე და თვითონაც მთხოვეს ამ გაჭირვებისაგან გამოხსნისათვის პრიკაზის ვალის გამო შეღავათი რამ ჩვენთვის შეევედრე მთავრობასაო, მე ჩემს წმინდა მოვალეობად ვიცანი, რომ ამ მხრით მთავრობას შემწეობა რამე ვსთხოვო. რაკი საქმე ამაზედ შესდგა, რომ, ერთის მხრით სიღარიბის მიზეზით პრიკაზის ვალის გამო შეღავათი უნდა მეთხოვნა და მეორეს მხრით ამავე დროს უნდა მეშუამდგომლა სკოლის ფულის გაწერის გამო, მე ეს ორი საგანი ერთად მოუთავსებელი მეჩვენა. არ მინდოდა ეთქვათ, რომ თუ ღარიბნი არიან, ამ სკოლის ფულს როგორღა იხდებიანო. თუ კრებას არ მოსწონს ეს ჩემი მოსაზრება, მიბრძანოს და დაუყოვნებლივ სასკოლო ფულის საქმეს თავის გზას მივცემო. კრებამ დაადგინა: სკოლ[illegible] საქმეს დაუყოვნებლივ «ქართ[illegible]ი გზა მიეცესო გამავ[illegible]

(შემდეგი იქნება)

---

## ლოთობა

### და

### იმისი მავნებელი ზედ-მოქმედება.

ლოთობაზედ დიდი ლექცია წაიკითხა ამას წინად მოსკოვში პროფესორმა იანჟულმა. მეტი არ იქნება, მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს შინაარსი ამ საყურადღებო ლექციისა.

რა არის ლოთობა? ლექტორის აზრით, ლოთობა ისეთი ხმარებაა მათრობელის სასმელებისა, როცა ადამიანს აღარ შეუძლიან ჩვეულებრივ კვალში იდგეს და ადამიანურად მოქმედებდეს. აქედამ ცხადია, რომ ლოთობა სხვაა და სასმელების სმა სხვა და თუ სმაში კაცი ზომას არ გადადის, ლოთობაც არ ეკიდება. ლოთობას დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს კანონ-მდებლებმა, ზნეობის მოძღვრებმა და მკურნალებმა. მკურნალი ლოთობას ისე უცქერის, როგორც ავადმყოფობას, რომელიც ცუდად მოქმედობს ადამიანის ჯანზე; ფსიხოლოგისათვის, ანუ ადამიანის სულის ვითარების მკვლევარისათვის ლოთობა ისეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანის ნება და სურვილი სუსტდება და აღარა მოქმედობს; ზნეობის მოძღვრისათვის ლოთობა სენია, რომელიც ჰრყვნის ადამიანის ზნეობასა და დედაა ყოველის ბოროტებისა; სოციოლოგოსისა და ეკონომისტისათვის ლოთობა მავნებელი ჩვეულებაა ერისა, ისეთი მავნებელი ჩვეულება, რომელსაც მოსდევს ფლანგვა სიმდიდრისა და რომელიც ძირს უთხრის ერის წარმოებასა და ნაყოფიერს შრომას; დასასრულ, ლოთობა ანუ სასმელების ხმარება სახელმწიფო ხაზინისათვის სასარგებლოა და, როგორც ვიცით, დიდის შემოსავალის მომცემია.

შემდეგ პროფესორმა უამბო მსმენელთ ისტორია ლოთობისა. ლოთობა ისეთივე ძველი ამბავია, როგორც თვით კაცობრიობის გაჩენაა ძველი ამბავი. კაცი დაბადებითვე ეტანება მათრობელს სასმელს. არ არის დედამიწის ზურგზე ისეთი ერი, რა გინდ ნადირ-მყოფიც უნდა იყოს, რომ რომელისამე მათრობელის სასმელის ხმარება არ იცოდეს. ზანგს, მონღოლს, ყირღიზს, ვოტიაკს, სამხრეთ ამერიკის ნადირ-კაცს — ყველამ თავისებური სასმელები იციან. ას მილიონამდე კაცი ჰლევავს რასმე მათრობელს, ორასი მილიონი სწევს და ხმარობს ხაშიშსა და ოთხას მილიონამდე კაცი კიდევ ხმარობს თრიაქს.

ძველად ძრიელ ყოფილა გავრცელებული ლოთობა. არ არის არც ერთი ისტორიული ერი, რომ ლოთობა ჩვეულებად არა ჰქონიყოთ გადაქცეული. კანონ-მდებლობა და სარწმუნოება, რაც შეეძლო, ებრძოდა ამ სენს, მაგრამ-კი ვერ მოსპობდა ხოლმე.

ეხლანდელს დროში ზოგან ძრიელ შეიცვალა საქმე ლოთობის მხრივ. ინდოეთის ეხლანდელს მკვიდრთა შორის ბევრად ნაკლებ არის გავრცელებული ლოთობა, ვიდრე იმათ დამპყრობელ და განათლებულ ინგლისთა შორის. ასევე ნაკლებ არის გავრცელებული ლოთობა ეხლანდელ ბერძენთა და ლათინის ტომის ერთა შორის, როგორც მაგალითად ფრანგებში, იტალიელებში, ისპანიელებში და პორტუგალიელებში. ყველა ეს ერნი შესანიშნავნი არიან, რადგან დიდად ერიდებიან ლოთობას. ფრანგებს თუმცა მრავლად მოსდით ღვინო, ლოთობა მაინც არ არის და მხოლოდ ბოლოს დროს იჩინა თავი, მას შემდეგ, რაკი ვენახები ფილოქსერამ გააფუჭა და ღვინის გაძვირების გამო არაყი შემოვიდა ხმარებაში. გერმანელებმაც ძალიან წინ წადგეს ნაბიჯი და დიდად შეამცირეს თავიანთს ქვეყანაში ლოთობა. ინგლისში ჯერ კიდევ ძრიელ არის ლოთობა გავრცელებული, მაგრამ რუსეთში უფრო კიდევ მეტად ძრიელ იჩინა თავი ამ სენმა. ლოთობა რუსეთში იმისგან-კი არ წარმოსდგება, რომ ვითომ რუსეთში უფრო ბევრსა სმენ მათრობელს სასმელს. არა, სცდებიან ისინი, ვინც ასე ჰფიქრობენ. რუსეთში ლოთობის მიზეზი ის არის, რომ სმენ ერთბაშად და სმენ ბლომად, თორემ ზედი-ზედ რომ ვიანგარიშოთ, ორთა-შუა რაცხვით, რუსეთშიაც იმდენი ისმის სასმელი კაცის თავზე, რამდენიც ევროპაში. ზოგიერთ გუბერნიაში, სადაც ბევრი ისმის სასმელი, ლოთობა ბევრად მცირეა, ვიდრე მაგალითად ვიატკის გუბერნიაში, სადაც ბევრად ნაკლები ისმის სასმელი შედარებით ვიდრე სხვა გუბერნიებში, მაგრამ სადაც ცხრაში ერთი მილიონ-ბული-კი უთუოდ ლოთობის მიზეზით არის გარდაცვლილი. პრუსიაში, სადაც უფრო მეტი იხარჯება და ისმის სასმელი, ორჯელ ნაკლები ხალხი იხოცება ლოთობისაგან, ვიდრე სამხრეთ რუსეთშიაც-კი, არა თუ ჩრდილოეთისაკენ. რუსეთში ლოთობის მიზეზი ის-კი არ არის, რომ ბევრსა სმენ, არამედ ისა, თუ როგორა სმენ.

ამითი გაათავა პროფესორმა იანჟულმა პირველი ნაწილი თავისის ლექციისა და მერე დაიწყო ლაპარაკი იმ ღონის-ძიებათა შესახებ, რომელსაც ხმარობდნენ, ან დღეს ხმარობენ კერძო კაცნი, საზოგადოებანი და სახელმწიფონი ამ მავნებელის ჩვეულების საწინააღმდეგოდ. მაგრამ ვიდრე ამაზე დაიწყებდა ლაპარაკს, მოკლე წინასიტყვაობაში მოუთხრო მსმენელთ, თუ რა ვნება და ზარალი მოაქვს ლოთობას ადამიანის ჯანისათვის, როგორ უმოკლებს ლოთობა ადამიანს სიცოცხლეს და ჩაჰყავს ბოლოს საფლავში. ლოთობა ხშირად სიღარიბის ბრალია, მაგრამ თვით სიღარიბე მომეტებული ნაწილად ლოთობისაგან წარმოსდგებაო.

ლექციის მეორე ნაწილიც ფრიად საინტერესოა, მაგრამ, გაზეთში უადგილობის გამო, თავს ვანებებთ.

---

## უცხოეთი

საფრანგეთი. ბულანჟეს მომხრეებს ბედი როგორღაც ჰღალატობს. როგორც ვიცით, ესლა ბულანჟე კონსტიტუციის გადასინჯვასა და პარლამენტის დათხოვნასა თხოულობდა, მაგრამ პალატამ უარჰყო. ამ რამდენისამე კვირის წინად პალატამვე განიხილა ბულანჟეს მომხრეს და მემარჯვენე დასის წევრის დე-მარტენპრეს სარჩელი, რომელიც სამხედრო მინისტრად სამოქალაქო წოდების კაცის დანიშნვას შეეხებოდა. სარჩელის შემტანი ნაავიცრალი ამბობდა, რომ სამხედრო მინისტრის თანამდებობა მაინც-და-მაინც სამოქალაქო უწყების კაცისათვის არ უნდა მიეცა მთავრობას. ჩემის აზრით, ესეთი საქციელი სარევოლიუციო საქმეა და დიდი შეცდომაც არის. მას შემდეგ, რაც 1758 წ. მარშალი ბელ-ილი სამხედრო მინისტრად იყო, ეს თანამდებობა ყოველთვის მარშლებსა და გენერლებს ეჭირათ. მხოლოდ ოთხჯერ იყო ამისი წინააღმდეგი მაგალითი, სამოქალაქო უწყების კაცი ამ მინისტრად გახლდათ პაშა—1792 წ., კარნო—1793 წ., არაგო—1848 წ. და ფრეისინე—1870 წ. ამ ოთხის კაცის სამხედრო მინისტრად დანიშნვის დრო სწორედ რევოლიუციისა და არეულობა-აშლილობის დროა. ესლა ვკითხო[illegible] ნება ესლაც სწორედ ასეთი დრო დადგა, რომ ფრეისინეს ისევ ესევე თანამდებობა მიეცა? ჯარი მხოლოდ იმას მიენდობა, ვინც რკინასავით გამოსულის ბრძოლასა და სისხლის ღვრაში. ამას გარდა სამხედრო მინისტრს მოეთხოვება ზოგიერთი ტეხნიკური ცოდნაც, რაც არა-სამხედრო წოდებისას ძნელად ექმნება ნასწავლი. როცა ფრეისინე სამხედრო დელეგატად გაიგზავნა საერო დაცვისა და დაფარვის მთავრობის მიერ, იმან ჯარის სარდლობა თვითონ არ ივისრა და მხოლოდ გენერლებს ბრძანებას აძლევდა. გენერალ შანზის მოხსენებიდგან სჩანს, რომ ფრეისინე ჯეროვანს განკარგულებას ვერ ახდენდა და ამით საქმეს აფუჭებდა.

ფრეისინე. ეგ ერთად-ერთი ღირსეული საყვედურია, რომელიც თქვენგან გავიგონე, და ეგეც გენერალს შანზის შეცდომით მოუვიდა თავისს მოხსენებაში.

კასანიაკი. საკვირველია, მაშინ უარჰყოფთ შანზის აზრს, როცა იმან საუკუნოდ განისვენა და პასუხს ვეღარ მოგცემთ.

ფრეისინე. მაგაზე აზრი უარ-ვყავი 1871 წ. ჩემს თხზულებაში — „ომი პროვინციაში“ და თვითონ გენერალმა შანზიმ აღიარა თავისი შეცდომა (მარცხნივ ტაშსა სცემენ).

მარტენპრე. სამოქალაქო წოდების კაცთა სამხედრო საქმეებში ჩარევის წყალობით ვიძლიენით ისე საშინლად 1870 წ. ვსწუხვარ, რომ ჯარის მეთაურად ის მინისტრია დანიშნული, რომლის წყალობითაც საფრანგეთმა ეგვიპტე დაჰკარგა (ტაშის ცემა გაისმის მარჯვნივ).

ფლოკე. როცა მე ვურჩიე რესპუბლიკის პრეზიდენტს ესარგებლნა თავისის საკონსტიტუციო უფლებით და სამხედრო მინისტრის თანამდებობა ბ-ნის ფრეისინესათვის მიენდო, პრეზიდენტი [illegible]ის ჭო-არაობაში იყო. ადრევე ვიცო[illegible]დი, რომ [illegible], მაგრამ მე ეს ეჭვი უსამართლოდ მიმაჩნდა და მიმაჩნია. ჩვენ გვეუბნებიან, რომ იმ თავითვე სამხედრო მინისტრად სულ მარშლები და გენერლები ინიშნებოდნენო. ეს ტყუილია (ხმაურობა მარჯვნივ). მას შემდეგ, რაც სამხედრო კანცელარია დაარსდა, 1630 წლიდგან 1715 წლამდე სამხედრო სამინისტროს მეთაურედ სულ სამოქალაქო უწყების კაცნი ყვნენ. 1715 წ. პირველად დაინიშნა ამ თანამდებობაზედ სამხედრო წოდების

---

ნება და უფლება ჰქონდეს თავისის ცხოვრების მოწყობისა.

აი, ჩვენის აზრით, ამ გვარი მიმართულება და მნიშვნელობა უნდა მისცეს კაცმა ცხოვრებაში ზემოხსენებულის მეცნიერის აზრს, იმიტომ უფრო, რომ თვითონ ამ აზრის ავტორი ხრას გვეუბნება, როგორ მოვიქცეთ ჩვენს პრაქტიკულს ცხოვრებაში. მაგრამ ბ-ნი მაიაშვილი ამ აზრს, როგორც მოგახსენეთ, სხვა მნიშვნელობას მიაწერს და ჭეშმარიტად ეს დიდად სამწუხაროა, იმიტომ-კი არა, რომ აქ ცუდს რასმესა ვხედავდეთ, სრულებითაც არა; სამწუხარო იმიტომ არის, რომ შემდეგ დიდის ისტორიულის გამოცდილებისა, ამ გვარი მნიშვნელობა თვით რუსეთშიაც-კი უარყოფილია დაწინაურებულ და განათლებულ საზოგადოებისაგან, როგორც ცხოვრებაში გამოუსადეგარი და ძნელად აღსასრულებელი.

მართალია, ადამიანის ცხოვრების განკარგებას, თავისს ისტორიულს სარბიელზედ, საძირკვლადა ჰქონდა ქონებრივი სიმდიდრე და დღესაც ასეა, რადგანაც ყოველ ერის უმეტესი ნაწილი, ესე იგი მდაბიო ხალხი, დღესაც ტყვეა ქონებრივის წარმოებისა, მეტადრე ჩვენა და თესვისა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ გონება დახშულ და გაუხსნელ მდაბიო ხალხს არა აქვს იმდენი ღონის ძიება და სახსარი, რომ გადაავლოს თვალი თავისს ისტორიას, იცნოს თავი და ძალა თავისი და ამ გვარად დაადგინოს ის აზრი, რომ დღეს ნება და მოვალეობა ყოველის კაცის კეთილდღეობის საფუძველი და საძირკველია; რომ ნათლად გაიგოს, თუ ეს ნება-მოვალეობა იმის ხელთ იქნება, მაშინ თავის ქონებრივ ცხოვრებასაც თვითონვე საუკეთესოდ მოაწყობს. ხოლო საუბედუროდ მდაბიო ხალხი დიდხანს ვერ გაიგებს ამის მნიშვნელობის; ამის გაგებას და აღსრულებაში მოყვანის მოვალეა იმისი წინ-წასული ძმა, განათლებული საზოგადოება, ესე იგი ინტელიგენცია, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ არსებობს ისე, რომ თავი რაშიმე გამოიჩინოს; ამაშია ყოველის ერის ინტელიგენციის აუცილებელი და უპირველესი მნიშვნელობა და ამაშივე უნდა გამოიჩინოს თავი ყველგან: სალიტერატურო, საზოგადო, თუ სახელმწიფო სამსახურის ასპარეზზედ.

ყოველ ზემოხსენებულის მიზეზების გამო ჩვენ ვერ ვეთანხმებით ბ-ნ მაიაშვილის აზრს, რომ უმეტესი ყურადღება ჩვენის განათლებულის საზოგადოებისა უნდა მიექცეს ერის ეკონომიურ ცხოვრების გამოკვლევასა. ნუ-თუ ჩინეთის ეკონომიურ ცხოვრების ჩემგან გამოკვლევა ჩინეთის მდაბიო ხალხს რასმეს არგებს? ამ ჩემს გამოკვლევას მხოლოდ სამეცნიერო მნიშვნელობა ექნება და ჩინეთის მდაბიო ხალხის ბედი-კი მაინც ჩინეთის მებატონეს ხელში დარჩება. იქნება ცოტაოდენი მნიშვნელობაც ჰქონდეს ამ ჩემს გამოკვლევას მდაბიო ხალხის ბედის გარდაწყვეტაში, მაგრამ მაინც და მაინც ხალხის ბედი და უბედობა იმისგან გარდასწყდება, ვისაც იმისი ნება-უფლება ხელთა აქვს.

ვინ ამბობს, ჩემთვისაც დიდად სანატრელია, რომ ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაზედ ფარსაგი რამე დაიწეროს; რასაკვირველია, არ არის ცუდი, რომ წინათვე მოიფიქროს კაცმა, თუ რა გვარ ეკონომიურის ცხოვრების კვალში უნდა ჩაეროს იმისის ერის ცხოვრება, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენ ისეთი მრავალი ინტელიგენცია არა გვყავს, რომ ამ გამოკვლევას კაცები ცალკე მიუჩინოს; მეორეც ისა, რომ, როგორც მოგახსენეთ, ამ გვარს გამოკვლევაში სრულებით არა მდგომარეობს ჩვენი უპირველესი საჭიროება. დავარწმუნებ ბ-ნს მაიაშვილს, რომ ოღონდ-კი ღვინო ჰქონდეს კაცს, თორემ მალე მტერი მოეშორდეს მალე ტიკჭორების გაბერვა მოახერხოს.

მაგრამ თუ გინდ უპირველესი და უდიდესი მნიშვნელობაც რომ ჰქონდეს ჩვენის ხალხის ეკონომიურ ცხოვრების გამორკვევას, ბ-ნის მაიაშვილის სურვილი ჩვენის განათლებულ საზოგადოებისათვის ცალიერ ლაღადებად დარჩება, რადგანაც ჩვენი ახალი თაობა სრულებით არ არის მომზადებული სამეცნიერო გამოკვლევისათვის და თუ გინდ მზა აზრიც მისცე, ჯერ ვერ შეიძლებს შესაფერი მიმართულება მისცეს და ამ აზრიდგან ნამდვილი სარგებლობა გამოიტანოს. მაშასადამე, ჯერ იმაზედ უნდა ვიზრუნოთ და ვინაღვლოთ, თუ როგორ დავბადოთ ჩვენთვის უსაჭიროესი ინტელიგენცია და თუ იმისი დაბადება შეუძლებელი არ არის, მაშინ თვითონ ის ნამდვილი ინტელიგენცია გადასწყვეტს, რა არის ჩვენის ქვეყნისათვის საჭირო — ეკონომიურის ცხოვრების გამოკვლევა, თუ სხვა რაიმე.

მართალია, ჩვენში ექიმებიც ბლომად მოიპოვებიან, ინჟინერებიც, აგრონომებიც, მასწავლებლებიც და სხვანი, მაგრამ მათგან ვერ შესდგება აზრიანი, საგნიანი, ერთის სიტყვით, ბევრნი არიან და მათში კაცურნი კაცნი-კი არ მოიპოვებიან! ესეც-კი უნდა გითხრა ჩემო მკითხველო, რომ მე ჩემის მხრით ჩვენს მერმისს უსასოო თვალით არ ვუყურებ, თორემ რაღა ეშმაკად მომინდებოდა შენთან ლაპარაკი! იქნება როდისმე კიდევ ბევრი სამწუხარო და გულ-საკლავი გითხრა, მაგრამ ჩემს საუბარს ნურასოდეს საწყენად ნუ მიიღებ: ძმანი ვართ და მართლის თქმა და გაგონება ყველაზე ძალიან უნდა გვიყვარდეს.

ნ. გ—ლი

კაცი, მარშალი დე-ვილდიარი, რომელიც ამ თანამდებობას 1718 წლამდე ასრულებდა. ხოლო 1718 წლიდგან 1758 წლამდე ისევ სამოქალაქო უწყების კაცთ გარდაეცა. საკვირველია, რომ რაკი ეს თანამდებობა 1758 წლიდგან 1792 წლამდე ისევ სამხედრო წოდების კაცთ ჩაიგდეს, 34 წლის განმავლობაში ოცი კაცი გამოიცვალა. ეს იმას ამტკიცებს, რომ სამოქალაქო წოდების მინისტრები უფრო გამძლენი არიან თავიანთს თანამდებობაზედ, სინიდისიერად ასრულებენ ამ საქმეს (ხმაურობა მარჯვნივ). თქვენ ამბობთ, რომ იმ თავითვე ასე იყოსო, მეც მაგას ვამბობ, ხოლო სულ წინააღმდეგს აზრს-კი ვამტკიცებ. თქვენ ამბობთ, რომ ასეთი საქციელი სარევოლიუციო საქმის ჩადენააო. ჩვენ-კი იმ აზრისანი ვართ, რომ ჯარის აშლა, ფეხზედ დაყენება უფრო სარევოლიუციო საქმის ჩადენა, ვიდრე სამხედრო მინისტრად სამოქალაქო უწყების კაცის დანიშნვა (დიდი ხმაურობა და ტაშისკვრა დაიწყეს მარცხნივ).

ლიუსიენ-დე-ლაფერიერი. არეულობასა სთესავდით და რა საკვირველია, რომ დიქტატურა მოიმკოთ.

ფლოკე. არ ვიცი, ვინა სთესავდა არეულობას, ხოლო იმას-კი კარგად ვხედავ, ვინც არის ამისი მოწადინე (მარცხნივ ყვირილი გაისმის: მშვენიერია! აგრე უნდა, აგრე! მემარცხენენი ჰლელავენ). ჩვენზე ამბობენ, რომ სამოქალაქო უწყების კაცის სამხედრო მინისტრად დანიშნვა ჯარის დამცირებააო.

მემარჯვენენი. სწორედ დამცირებაა, სწორედ!

ფლოკე. ხოლო იმ გამგეობის მეთაურად დანიშნვა, რომელიც სიცოცხლეს, მოძრაობას და ღონეს აძლევს საფრანგეთის ძლიერს ჯარსა, ამ სამშობლოს მ[illegible]დლეობის და დამოუკიდებლობ[illegible] დამცველს, დ[illegible], რომელიც სამჯერ იყო მთელის საფრანგეთის მეთაური, სამჯერაც გარეშე საქმეთა მინისტრი, — იმ კაცისა, რომელმაც, რაც უნდა იყოს, 1870 წ. მინდობილი საქმე გათილშობილად შეასრულა, ამისთანა კაცის დანიშნვა, ვამბობთ ჩვენ, ჯარის დამცირება და შეურაცხყოფა არ არის (ხანგრძლივი ხმაურობა და ტაშისკვრა ისმის მემარცხენეთა და შუაგულის დასისაგან).

ამის შემდეგ პალატამ განჰხი უყარა ამ სარჩიელს და 377 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 175-სა დაადგინა: „პალატა ენდობა ეხლანდელს სამხედრო მინისტრს და მთავრობის არჩევანს სამხედრო მინისტრად სამოქალაქო წოდების კაცისას იწონებსო“.

---

# დეპეშა

26 მაისი

**პეტერბურგი.** 24-ს მაისს კენიგსბერგში გარდაიცვალა პეტერბურგელი პროფესორი ხირურგიისა მონასტირსკი.

„Новое Время“ გვაცნობებს: სახელმწიფო საბჭომ მოისმინა წარდგინება მასზედ, რომ რკინის გზებმა აძლიონ სესხი პურის გირაოს ქვეშ, იმ პირობით, რომ ეს სესხი სახელმწიფო ბანკმა იკისროს. საბჭომ შესაძლებლად სცნა, რომ სახელმწიფო ბანკმა და იმის განყოფილებათა აძლიონ ხსენებული სესხი სამის წლის ვადით.

„Биржевыя Вѣдомости“ იუწყება: „მალცევის სავაჭრო ამხანაგობის“ გაკოტრების საქმე ისე დატრიალდა, რომ შესაძლოა ამ მოკლეს ხანში ოფიციალურად გამოაცხადონ, გაკოტრების ამბავი ტყუილიაო.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 3%-დგან 2½%-მდე.

**სტამბოლი.** ჩვენმა ელჩმა მოაგონა ოსმალეთს, რომ იმაზე ოც მილიონამდე კონტრიბუცია ითვლება და საჭიროა ისეთი წყარო მიგვიჩინოთ, რომ კონტრიბუციის გაღახდა საეჭვო არ იყოსო. ამ გახსენების მიზეზი ის იყო, რომ ოსმალეთმა სხვა მოვალეებს მიუჩინა თავიანთი წყარო და ამით დაამედა ისინი.

**ბერლინი.** გამოცხადებულია კანონი, რომლის ძალითაც პრუსიის სეიმის საკანონ-მდებლო სამის წლის ვადა უნდა შეიცვალოს ხუთის წლის ვადად. რადგანაც ეს ახალი კანონი ბისმარკის აზრს ეთანხმება, ამიტომ ჰფიქრობენ, რომ სამინისტრო კრიზისის გამო ლაპარაკს ბოლო მოეღებაო.

24 მაისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო რჩევისა შესახებ იმისა, თუ რა სასჯელი დაედება და ან რა გადასახადი გამოერთმევა, ვინც ტყეს მოსჭრის და მოჭრილს ქურდულად გამოიტანს. ბრალდებულთ გადაჰხდებათ: პირველად — არა უმეტესს ხუთის თუმნისა, მეორედ — დაამწყვდევენ არა უმეტესს სამის თვის ვადისა, მესამეჯერ — დამწყვდეულ იქმნება ერთის თვიდგან ექვსს თვემდე. გარდა ამისა დამნაშავეთ უნდა [illegible] თავის ნებით მოჩეხილის და წაღებულის ტყის ფასი. მოჩეხილი ტყე წაერთმევა დამნაშავეს და უნდა დაუბრუნონ მემამულეს.

ამას წინად სასამართლო პალატამ «Новое Время»-ს რედაქტორს ფედოროვს მიუსაჯა ექვსის კვირის ვადით ციხეში დამწყვდევა და სამასი მანეთი ჯარიმა იმ წერილის დაბეჭდვისათვის, რომელშიაც შეურაცხყოფილ იქმნა გერმანიის სამხედრო აგენტი პეტერბურგში, ვილიემი. ფედოროვმა აპელიაცია გიდაიტანა სენატში. სენატმა განიხილა ეს აპელაცია და დაამტკიცა პალატის განაჩენი.

25 მაისი

**რომი.** ისპანიის მეფედ ნამყოფს პრინცს ამედეის, რომელიც დაქვრივებულია, დაუნიშნავს ლეტიცია ბონაპარტისა, პრინც ნაპოლეონის ასული.

27 მაისი

**სოფია.** ჯარის იჯარადრები ემუქრებიან მთავრობას: რადგანაც ფულს არ იძლევითო, ამიტომ იჯარას შევსწყვეტთო.

**ლონდონი.** ბატალიონის ვოლონტიორები ბრიგადებში გადაჰყავთ და ბრიგადის კომანდირები უკვე დანიშნულნი არიან.

**პარიჟი.** გუშინ დეპუტატთა პალატაში ფლოკემ აღიარა, რომ არჩევანი რესპუბლიკელებისათვის ძალიან სანუგეშო იყოვო.

**ბრიუსელი.** გუშინ გამართეს მსოფლიო გამოფენა.

---

პეტერბურგის ბირჟა, 24 მაისი

| | მყიდველი. | გამყიდველი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | 9⅕ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 182¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 39 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 273¾ |
| — მეორისა . . . . | — „ | — „ | 244¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი — უპ = 480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი — მდ = 44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია — 25.
მაისი 31 დღით არის.

28 დღე შაბათი. წმ. ევნატესი. კათოლ. ლიუციანესი. მესულ. მე-30 რიცხვი თთვისა რამაზანისა. 1305 წ. ჰეჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—33 საღამოს 7 საათსა და 37 წუთზე დაბადება მთვარისა.

29 დღე კვირა. წამება თეოდოსიისა კონსტანტინეპოლში. კათოლ. ეპ. მაქსიმესი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა შევვალისა, 1305 წ. ჰეჯრისა. 1-ლი დღე ორუჯ-ბაირამისა. მეჩეთებში ნამაზი აქვსო. [illegible] დღეს არის ეს დღესასწაული. მუსულმანები ამ დღეს სამეჩიოდ [illegible] გარდასახადს იხდიან. [illegible] ორუჯ-ბაირამს საბაოტნიკო ბალში დღესასწაულობენ. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—34. მთვარე 2 დღისაა.

---

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამსონიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდი პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

---

# მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | საღამოთ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

---


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
გაზეთ „მეურნის“ გამოცემა

## ვაზის ობი

(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),
შედგენილი
პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით
გ. ს—შვილის მიერ.
ფასი ორი შაური.

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის საჩქისა
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დავუთმობთ.

## ქარხანა

გ. გ. ტერ-ასატუროვისა და კო.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში
(50—49)

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ბ. კვიცარიძისა . . . . . . . . | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |


Доз. ценз. Тифлисъ, 27-го мая 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა (Типографія Е. Г. Месхи). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე